მოქალაქე ემა მუსერიძის მცხოვრები

ქ.თბილისი ბოდბის ქუჩა №7–ში

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვცხოვრობ ბოდბის ქ.№7–ში მდებარე საკუთარ სახლში. სახლის გვერდით მდებარე ბოჭორმის ქუჩა №3–ში,90 მ² მიწის ნაკვეთზე, ამა წლის 27 ივლისს დაიწყო 7 სართულიანი სასტუმროს მშენებლობა მოქალაქე დავროშ რზგოიანმა.

წლების წინ აღნიშნულ ადგილას იყო სკვერი (90–იან წლებში), რომელიც ეკუთვნოდა ქალაქ თბილისი გამწვანებას. ამ სკვერს დაეპატრონა ვინმე აივანგო ზედელაშვილი და მისი ფირმა ე.წ „მიმოზა“. 1997 წელს მან დაიწყო მშენებლობა, მაგრამ მოსახლეობის წინააღმდეგობის შედეგად, ვერ მოახერხა აშენება. ვინაიდან ბნელი და უჰაერო ოთახი გვქონდა, 1998 წელს გავჭერით ფანჯარა არსებულ სკვერში. მშენებარე სასტუმროს კედელი მოადგეს ჩვენ ფანჯარას და საერთოდ დაგვიბნელდა ოთახი.

1998 წლის შემდეგ აივენგო ზედელაშვილს ისევ ჰქონდა მშენებლობის მცდელობა 2010 წელს.

ჩვენი №12/8291-13 29.01.10 წერილის საფუძველზე ქალაქ თბილისში, ბოჭორმის ქუჩა №3–ში არქიტექტურულ შეთანხმებასთან და მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მივიღეთ პასუხი „თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან“, რომ აღნიშნულ მისამართზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შემთხვევაში ვიქნებოდი ინფორმირებული, რაც არ მოხდა.

აღნიშნულ მშენებლობაზე ნებართვა გაცემულია „თბილისის არქიტექტურის სამსახურის“ მიერ ბრძანება 737439 № AR1135363 31.05.13. დამტკიცებული პროექტის მიხედვით განსაზღვრულია 5 სართულიანი შენობა, მაგრამ როგორც აცხადებს მეპატრონე იგი აპირებს 7–8 სართულიანი სასტუმროს აშენებას.

შემოვიტანე განცხადება თბილისის არქიტექტურულ სამსახურში AR1150148 29.07.13 და თბილისის იურიდიულ სამსახურში 12/1321037-17 29.07.13–ში.

აგვისტოს თვეში ჩემი განცხადება განიხილა იურიდიული განყოფილების თანამშრომელმა თეონა კობიაშვილმა, მაგრამ დღემდე არანაირი პასუხი არ მიმიღია.

გთხოვთ საქმის კურსში ჩამაყენოთ რამდენ სართულიანი შენობა შენდება ბოჭორმის №3-ში.

განმცხადებელი: ე.მუსერიძე

595 32 91 82